08/08/2025

MES 7 25 0000990502

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:05
სხდომის დასრულების დრო: 21:07
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II, III, V და VI საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (IV საკითხი)
საბჭოს მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
8. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
9. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
11. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
13. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
რევაზ ტაბატაძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
თინა ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
შალვა დუნდუა - პროგრამის თანახელმძღვანელი;
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ეკა დევიძე -პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო დევიძე - ასოცირებული პროფესორი, ტურიზმის მიმართულების მენეჯერი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
შალვა ჭკადუა - ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი;
ნინო მოდებაძე - პროფესორი, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა და მასწავლებლი მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
სალომე თათულიშვილი - ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ეკატერინე ნახუცრიშვილი - ასოცირებული პროფესორი, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნინო ნახუცრიშვილი - პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა და მასწავლებლი მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შორენა ძამუკაშვილი - ასოცირებული პროფესორი;
ნათია გაბაშვილი - ასოცირებული პროფესორი.

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი "აიიუთი":
ვლადიმერ მკერვალიშვილი - რექტორი;
კახი ყურაშვილი - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ნინო სეფაშვილი - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
თამარ ჯიბუტი - სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ლიდერი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:
მაია ჭიჭილეიშვილი პროფესორი - პროგრამის ხელმძღვანელი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ ძველაია - პროგრამის ხელმძღვანელი, I კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი;
სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ვაჩეიშვილი პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ივანე ჯაგოდნიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გუგული ყურაშვილი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
რუსუდან ქუთათელაძე, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
ნინო ჩიკვილაძე, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
შოთა დოღონაძე, „საჯარო მმართველობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ბაღათურია, პროფესორი;
მარიამ ცაცანაშვილი, პროფესორი;
ნუნუ ოვსიანიკოვა, ასოცირებული პროფესორი;
ზურაბ ნასარია, მოწვეული ასოცირებული პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ირინა აბულაძე;
ზაქარია ქიტიაშვილი;
ია ნაცვლიშვილი;
მარიამ მაჭავარიანი;
ეკა ლეკაშვილი;
დავით სიხარულიძ;
ევანგელოს ცილიგირისი (Evangelos Tsiligkiris);
ირმა მესირიძე;
მაია ჩქოტუა;
ნინო ფხაკაძე;
ირინა ფხაკაძე;
ზურაბ ალხანიშვილი;
სანდრო ტაბატაძე;
შოთა სილაგაძე;

ზურაბ აზნაურაშვილი;
ეკა ლეკაშვილი;
ქრისტინე ჩიხლაძე.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. სხდომის თავმჯდომარედ III საკითხზე განისაზღვრა ქეთევან აფთარაშვილი, ხოლო ყველა საკითხზე სხდომის მდივნად ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის წარმომადგენელმა გვანცა ძიძიგურმა დააყენა შუამდგომლობა მესამე საკითხად განხილულიყო საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 გადაწყვეტილებაში პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის დაკორექტირების საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188.2.1 განათლების ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188.2.1 განათლების ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული, N37, 12/07/2016

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია- პროგრამის მოდულები:

ისტორია - საბაზო და საშუალო, ქართული ენა და ლიტერატურა - საბაზო და საშუალო, ინგლისური ენა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო, მათემატიკა - საბაზო და საშუალო, ფიზიკა - საბაზო და საშუალო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - დაწყებითი საფეხური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 60

სტატუსი: აკრედიტებული, N11, 17/03/2016

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კლასტერი მოიცავს სამ პროგრამას, განათლების ადმინისტრირების ორ სამაგისტრო პროგრამას (ერთს ინგლისურ ენაზე, მეორეს კი ქართულ ენაზე) და მასწავლებლის მომზადების ერთწლიან პროგრამას, რომელიც ასევე ქართულ ენაზე ისწავლება. ორივე სამაგისტრო პროგრამის მიზანია განათლების ადმინისტრირების მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება. კურსდამთავრებულებს ექნებათ ექსპერტიზა განათლების მენეჯმენტში, პოლიტიკის შემუშავებაში, ლიდერობაში, ფინანსებში, კვლევასა და დარგის გამოწვევებზე რეაგირებაში, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. ისინი, ასევე, განავითარებენ პედაგოგიური პრინციპების საფუძვლიან გაგებას და უნიკალურ პროფესიულ უნარებს, რომლებიც აუცილებელია დინამიურ და რთულ საგანმანათლებლო გარემოში ეფექტიანი მართვისთვის. ვიზიტი 2025 წლის აპრილში, საქართველოს უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში გაიმართა. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამების სტუდენტებთან და ამ პროგრამების კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ინფრასტრუქტურა და რესურსები. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს დაწესებულებას პროცესში, მათ შორის დისკუსიებში, ღია და ნაყოფიერი ჩართულობისთვის და ექსპერტებისადმი გამოჩენილი დიდი სტუმართმოყვარეობისთვის. პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად ინსტიტუციამ ძალიან ბევრი რეკომენდაცია და რჩევა არ მიიღო. ეს პანელმა ჩამოაყალიბა მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა არგუმენტირებული პასუხის მიღების შემდეგ პანელმა შეასწორა ანგარიში. კონკრეტულად, ეს ეხება სტანდარტ 2-სა და სტანდარტ 5-ს. თუმცა ძალაში დარჩა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება პერსონალის კვალიფიკაციასა და მოწვეული პერსონალის ჩართულობას. მთლიანობაში პროგრამა ძალიან

დიდ სარგებელს მიიღებს თუ დაწესებულება გაიზიარებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც გაიცა ექსპერტთა მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასება დაწესებულებისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან გაცემული რეკომენდაციები ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე. ინსტიტუცია რეკომენდაციების ნაწილს იზიარებს, რაც თავისთავად აისახება პროგრამის კურიკულუმში, თუმცა არის რეკომენდაციები, რომელთაც არ იზიარებს. პირველი რეკომენდაცია გულისხმობდა, პროგრამის მიზნების გადახედვას, კერძოდ, მათი სტილისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით. რის შესახებაც აღინიშნა, რომ პროგრამების მიზნების ფორმულირება ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო დიზაინის პრინციპებს. გარდა ამისა პროგრამის მიზნების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ისეთი ანგარიშები, რომელსაც გვთავაზობს OESD, ასევე ESG 2015 და ა.შ. ამასთან, თითოეულმა პროგრამამ გაიარა გარე შეფასება დარგში წამყვანი სპეციალისტების მიერ, სადაც ინსტიტუციას რეკომენდაციები პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით არ მიუღია. პროგრამის მიზნების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. სწორედ ამ მიზეზით ვერ დაინახა უნივერსიტეტმა საჭიროება იმისა, რომ პროგრამის მიზნები გადაიხედოს. შემდეგი რეკომენდაციაა სტანდარტი 1.3, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების მექანიზმის შემუშავებას. საქართველოს უნივერსიტეტში მოხდა სწავლის შედეგების გაციფრულება, რაც გულისხმობს, უშუალოდ, საგნის შედეგების დაკავშირებას საგამოცდო საკითხებთან. ეს პრაქტიკაში ისედაც კეთდებოდა, უბრალოდ მოხდა გაციფრულება და რეკომენდაციის საჭიროება აღარ არსებობს. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მოწვეული პერსონალის რაოდენობას, რაც გარკვეული გაურკვევლობა გამოიწვია, რადგან 4.2 სტანდარტი სრულ შესაბამისად არის შეფასებული. სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებულია 10 ადგილო მოწვეული პერსონალისთვის და ერთ ადამიანს შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 მაგისტრანტს. ასევე დასკვნაში აღნიშნულია, რომ პოტენციური ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტებისა 1.3 არის მიმართებაში, რაც ცხადია, განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მოიწვია უცხოელი ექსპერტები, რომლებიც ამ თვალსაზრისით ჩაერთვებიან პროგრამის განვითარებაში. თუმცა ეს არგუმენტირებული პასუხი არ გაიზიარა ექსპერტთა გუნდმა. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად პროგრამის მიზნებში უნდა იყოს ასახული 21-ე საუკუნის ლიდერული უნარები, როგორიცაა ციფრული საკითხები, ინოვაცია და ა.შ. ამ თვალსაზრისითაც გაითვალისწინა დაწესებულებამ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2023 წელს, რაც ძალიან დიდ ყურადღებას ამახვილებს ციფრულ წიგნიერებაზე. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციას აქვს თავისი ხედვა, რადგან პროგრამაში ინტეგრირებული საგნები როგორებიცაა ტექნოლოგიურად გამდიდრებული სასწავლო გარემოს დაგეგვმა და მართვა, ბიზნესის პროცესები და ციფრული ტრანსფორმაცია უმაღლეს განათლებაში, სწავლის მეთოდებშია ინტეგრირებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, ვიზუალური ლექციები და ა.შ. მაშასადამე, პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგანი ფარავს იმ კომპეტენციას, რომელზეც საუბრობენ ექსპერტები, თუმცა იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითარდეს პროგრამა დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ დაემატებინა საგანი „მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზიურობა", რომელიც მოგვიანებით აისახება პროგრამის კურიკულუმში. შემდეგი საკითხია უნივერსალური დიზაინის სწავლების პრონციპების ინტეგრირება სასწავლო კურსებში. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტმა გაითვალისწინა CAST-ის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია როგორც სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების, ისე შინაარსობრივად ინკლუზიური თემატიკის საკითხები. კერძოდ, პროგრამის შემუშავების პირველივე ეტაპზე გათვალისწინებული იყო იუდიელის 3 ძირითადი პრინციპი, ესენია: ინფორმაციის მრავალფეროვანი წარდგენა; ჩართულობის მრავალმხრივი ფორმები და

გამოხატვისა და შესრულების ალტერნატიული გზები. ეს ყოველივე ასახულია ყველა ცალკეულ საგანში. შემდეგი რეკომენდაცია ეხება 4.2 სტანდარტს, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ განათლების მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა დასკვნის პროექტშივე აღნიშნულია, რომ პროგრამაში ჩართული სპეციალისტები და 21 მათგანს უდასტურდება კვალიფიკაცია, აქედან 16 პროფესორ-მასწავლებელს აქვს დოქტორის ხარისხი განათლებაში. მაშასადამე, დაწესებულება რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს. ორი დამოუკიდებელი რეკომენდაცია გაიცა ქართულენოვან პროგრამასთან დაკავშირებით. ერთის თანახმად ქართული რეალობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში ხაზი უნდა გაესვას კურსდამთავრებულთა იმ უნარებს, რომლებიც მათ სჭირდებათ ქართულ ბაზარზე დასაქმებისათვის. დაწესებულებამ არნიშნა, რომ განათლების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა არ გულისხმობს იმას, რომ კურსდამთავრებული მხოლოდ ქართულ ბაზარზე შეძლებს მუშაობას. გარდა ამისა, განსხვავებით ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამებისა, წარმოდგენილია უკვე ის საგნები, რომლებიც, უშუალოდ, ქართულ რეალობაზეა ორიენტირებული, მაგალითად, „ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა“, „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა“, „ინსტრუქციული ლიდერობა და პროგრამული განვითარება“ და ა.შ. ხაზი გაესვა იმასაც, რომ შემდეგი რეკომენდაციები ეთმობოდა მასწავლებლის მომზადების პროგრამას, რომელთა დიდი ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა. ბოლო რეკომენდაციის თანახმად, კურიკულუმში უნდა ინტეგრირდეს სამართლებრივ საკითხებზე ორიენტირებული საგანი, თუმცა ეს უკვე ინტეგრირებულია რამდენიმე სავალდებულო საგანში, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფორმალურ ცოდნას, არამედ მის პრაქტიკულ გამოყენებას. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ ინსტიტუცია მუდმივად ანახლებს მას და ფეხს უწყობს თანამედროვეობას. ამის დამადასტურებელია ის, რომ ექსპერტებს წარედგინათ დოკუმენტაცია, სადაც ასახულია კონკრეტული საგნისთვის საჭირო ლიტერატურის შეძენის ფაქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ვლადიმერ ადეიშვილმა მასწავლებლის პროგრამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა შეეძლო თუ არა შესაბამისი ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტს შესაბამის პროგრამაზე ჩაბარება და, ასევე, აინტერესებდა რომელი სასწავლო კურსები აძლევს მასწავლებელს ლიდერობის უნარებს. ასევე, მის ინტერესს წარმოადგენდა ის საკითხიც თუ რამდენად შეეძლო მეთოდიკის საგნებს შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება 6 კრედიტში.

თინათინ ღუდუშაურმა განმარტა, რომ მიღების წინაპირობა განსაზღვრულია განათლების სამინისტროს დადგენილი სტანდარტის მიერ. ანუ იგულისხმება, რომ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი უნდა ჰქონდეს და ნებისმიერ შემთხვევაში გამოცდაზე დაადასტუროს იმ მიმართულების ცოდნის არსებობა, რომელი მიმართულების მასწავლებელიც უნდა, რომ იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეთოდიკების 6 კრედიტიან კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს ფუნქციონირებს 2016 წლიდან და ყოველწლიურად ფასდება თუ რამდენად არის მიღწეული ის მიზნები, რაც პროგრამას გააჩნია. 10 წლის განმავლობაში აღნიშნული პრობლემა არ ყოფილა და კურსდამთავრებულების 100% საკმაოდ წარმატებულად მუშაობს კერძო თუ საჯარო სკოლებში. შესაბამისად, სრულიად საკმარისია საგნისთვის გამოყოფილი 6 კრედიტი და 150 საათი.

ციური დურულმა 1.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა ეს იყო ნამდვილად რეკომენდაცია თუ რჩევის სახითაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს, რადგან არცერთი სტანდარტი არ ითხოვს ამ გეგმის ჩამოყალიბებას.

ირინა აბულაძემ განმარტა, რომ ის სისტემა, რომელიც სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედებს დაწესებულებაში არის ძალიან გამართული, თუმცა ინსტიტუციამ

თავად წარმოადგინა ახალი პროექტი ვიზიტის დროს. ეს პროცესი აქვთ დაგეგმილი და ახალ პროექტზე გადასვლა ხდება ეტაპობრივად. რეკომენდაციის გაცემის მიზეზი კი იყო ის, რომ შეიქმნას უცხო თვალით დანახული სრული სურათი.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის ამ ფორმულირებით ჩაწერა ცოტა არასამართლიანად მიაჩნია დაწესებულებას, რადგან არა მარტო სიტყვიერად იყო წარმოდგენილი ახალი პროექტი, არამედ გეგმაც ჰქონდა წერილობითი სახით ინსტიტუციას.
ციური დურულმა სწავლის შედეგებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით კვლავ ექსპერტებს მიმართა. მას აინტერესებდა რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.
ირინა აბულაძემ მიზნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კონკრეტულად სიტყვების ზუსტ გამეორებას არ გულისხმობს ექსპერტთა გუნდი, თუმცა ჩაითვალა, რომ პროგრამის მიზნებში კარგი იქნებოდა უფრო მკაფიო აქცენტები გაკეთებულიყო ამ საკითხებთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:04
დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „განათლების ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ერთწლიან პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ეკა ლეკაშვილი, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაუდასტურა პატივისცემა. ხაზი გაესვა იმას, რომ პროგრამის დასახელება იყო „ტურიზმი“, რომელიც არ შეცვლილა და, შესაბამისად, უცვლელი დარჩა კვალიფიკაციის სახელწოდება და სტუდენტს კვლავ ენიჭება ტურიზმის ბაკალავრის ხარისხი, თუმცა შეიცვალა კოდი, რომელიც დეტალური სფეროს აღწერილობის მიხედვით 1120-დან ჩანაცვლდა 1015-ით და „მოგზაურობა და ტურიზმის“ ნაწილში არის წარმოდგენილი. შესაბამისად, შეფასება განხორციელდა სწორედ ამ კუთხით. ამავდროულად, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია დარგობრივი სფეროს მოცემულობა და გამოთხოვილ იქნა ინსტიტუციიდან ის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც ექსპერტებს დაეხმარებოდა პროცესის სრულყოფილად აღქმასა და შეფასებაში. არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ დაკორექტირდა დასკვნის დოკუმენტი და დარჩა მხოლოდ 3 რეკომენდაცია. მეტწილ შესაბამისობაშია 1.5, 2.2 და 4.1 კომპონენტები. რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილია განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში და გადამუშავდეს პროგრამის სილაბუსები განახლებული ლიტერატურის შესაბამისად. უკუკავშირის დროს ინსტიტუციამ თითქმის ყველა რეკომენდაცია გაიზიარა და ნაწილზე მიუთითა, რომ განხორციელების პროცესშია. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად მიზანშეწონილია განახლდეს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, პრაქტიკის ობიექტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით. ინსტიტუცია ამ მიმართულებით განაგრძობს მუშაობას და რადგანაც ეს ჯერ პროცესშია რეკომენდაციაც შენარჩუნდა. ბოლო რეკომენდაციაში რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ესეც გრძელვადიანი პროცესია და ამიტომ შენარჩუნდა ის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნინო დევიძემ აღნიშნა, რომ მემორანდუმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულება იღებს, რადგან გარკვეული პროცესების გამო ეს პროცესები ყურადღების მიღმა დარჩა. თუმცა ის შეტანილია ახალ სასწავლო გეგმაში და მაქსიმალურად გამოსწორდება აღნიშნული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ აბსოლუტურად ყველა რეკომენდაცია გაიზიარა და გადადგა უკვე შესაბამისი ნაბიჯებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:16
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს დაეყენებინა შუამდგომლობა
ცენტრის წარმომადგენელმა გვანცა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ შუამდგომლობა ეხება შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 გადაწყვეტილებაში ტექნიკურ დაზუსტებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში უნდა დაკორექტირდეს 2 პუნქტი.
პირველ რიგში, უნდა დაკორექტირდეს პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი: გადაწყვეტილებაში მითითებულია: „დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი 1-ით გათვალისწინებულ „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2030 წლის 31 დეკემბრამდე“.
აღნიშნული ჩანაწერი უნდა დაკორექტირდეს შემდეგი სახით: „დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი 1-ით გათვალისწინებულ „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2030 წლის 31 დეკემბრამდე“.
მეორე საკითხი ეხება გადაწყვეტილების მეხუთე პუნქტს, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით: „საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 თებერვლიდან“.
აღნიშნულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად უნდა მიეთითოს 05 მარტი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის 2025 წლის 5 მარტის N549997 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახთ:
"1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი 1-ით გათვალისწინებულ „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2030 წლის 31 დეკემბრამდე."
2. გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 05 მარტიდან."

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის დასახელება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული, N99, 08/08/2018

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: - პროგრამის მოდულები
ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; სპორტი; გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური).
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული, N2, 17/03/2016

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ, ვლადიმერ ადეიშვილმა და თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობადაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ევანგელოს ცილიგირისი, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას მხარდაჭერისა და კოლეგიალური გარემოს შექმნისათვის. გაცემული რეკომენდაციები თუ რჩევები უნივერსიტეტს დაეხმარება განვითარებაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობა ძალიან დიდია, რაც მის ხარისხს უსვამს ხაზს. რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, ინფრასტრუქტურა ნამდვილად უნაკლოა. ზოგადად მიზნები და შედეგები ორივე პროგრამის შემთხვევაში თანხვედრაშია, თუმცა იყო გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარე შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე აუცილებელია ლიტერატურის განახლება და ამის ატვირთვა ვებგვერდზე. მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან. აქ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ საკმაოდ კარგად არის ჩაშენებული პრაქტიკის ნაწილი და კვლევითი კომპონენტი. მიუხედავად ამისა, არის გასაუმჯობესებელი მხარეც, რაც უკავშირდება სტუდენტთა შეფასების სისტემას. შეფასებაში აუცილებელია გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი მეთოდები და მოცემული უნდა იყოს დეტალური ქულობრივი შეფასება. მესამე კომპონენტი სრულად შესაბამისობაშია სტანდარტთან. გაიცა რამდენიმე რჩევაც, თუმცა, საბოლოო ჯამში, ინსტიტუცია სრულ მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს დასაქმების კუთხით. მეოთხე კომპონენტიც სრულად შესაბამისობაშია სტანდარტთან, გარკვეული რჩევები გაიცა, რადგან მეტად გამრავალფეროვნდეს პროგრამა. პროგრამა აკმაყოფილებს მეხუთე სტანდარტსაც. უნივერსიტეტს კარგად აქვს განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. თუმცა პირდაპირი შეფასებს მეთოდების ნაკლებობაა პროგრამაში, რომელიც უნდა გაუმჯობესდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია გაითვალისწინებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც პროგრამის განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა გარკვეულ რეკომენდაციებთან დაკავშრებით აქვს თავისი შეხედულება. პირველი და მეხუთე რეკომენდაციები, გარკვეულწილად შესაძლოა, რომ ერთმანეთს ფარავდეს. დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებისას მიჰყვებოდა აკრედიტაციის სახელმძღვანელოსა და 2023 წელს დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელს, რაც კონკრეტულად ამ სფეროსთვის არის განკუთვნილი. მათზე დაყრდნობით აიწყო კურიკულუმის რუკები, რომლებიც წარმოდგენილია კლასტერის პროგრამებში და სწავლის შედეგების შეფასებისას ერთგვარი გზამკვლევია ინსტიტუციის წევრებისთვის. მეორე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია, საჯაროობის უზრუნველსაყოფის მიზნით,

პროგრამასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის განახლება ოფიციალურ ვებგვერდზე, რათა აისახოს ამჟამინდელი სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და სტრუქტურული ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა, რომელიც არ არის განხორციელებული მისი ვებგვერდზე განთავსება არ არის მიზანშეწონილი უნივერსიტეტისთვის. სხვა პროგრამები, რომლებიც ხორციელდება, ყველა განთავსებულია საიტზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობებიც აიტვირთება აკრედიტაციის გავლის შემდეგ.
ნინო ნახუცვრიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების განახლება მიმდინარეობს ინტენსიურად დაწესებულებაში, ამიტომ ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულია. ასევე შექმნილია კურსდამთავრებულთა კომუნიკაციისთვის განკუთვნილი, პლათფორმა და დაიგეგმა, მათთან კომუნიკაციის მრავალფეროვანი გზების დანერგვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმები, რათა უზრუნველყოფილ იქნა მთავრობის №394 (2020) დადგენილებით განსაზღვრული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა. თუმცა მასწავლებლის მომზადების კურსი ითვალისწინებს მასწავლებლის შეიარაღებას სწავლა/სწავლების უახლოესი სტრატეგიებით და მისი მიზანი არ გახლავთ ისეთ კატეგორიებზე მუშაობა, როგორიცაა ზმნიზედური ბრუნვის ფორმები, პოსტპოზიციური ორთოგრაფიული წესების გაცნობა, რადგან ისინი არის ლინგვისტიკის სფერო, ამდენად ისინი ვერ იქნება კურსში ჩაშენებული. ასევე, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლამდე აპლიკანტს მოეთხოვება თავისი საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება მასწავლებლის გამოცდაზე. შესაბამისად, მისი ცოდნა ლინგვისტურ სტანდარტებზე დაყრდნობით არ მოწმდება და არც ამ შედეგებზე არაა პროგრამა ორიენტირებული.
სალომე თათულაშვილმა მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოცდების გარდა უამრავ სასწავლო კურსშია გამოყენებული მრავალფეროვანი და განსხვავებული მეთოდები, მაგალითად ჩაშენებული პრაქტიკის დავალებები, მისი ანალიზი, ქვიზები, სტუდენტის პორტფოლიო და ა.შ. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, პროგრამის ხელმძღვანელი თავად ირჩევს შეფასების რა ფორმა იქნეს გამოყენებული მის კონკრეტულ სილაბუსში. გამოცდები მიმდინარეობს წერილობითი ფორმით და ისინი მოწმდება ელექტრონულად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ისეთი უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგები, როგორიცაა, მაგალითად, ვარშავისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ვებგვერდთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაში რისი განახლება იგულისხმებოდა.
მაია ჩქოტუამ განმარტა, რომ 60 კრედიტიან პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტებს სურდათ, ზოგადად ყოფილიყო ინფორმაცია განთავსებული. მაგალითად, არის შიდა გამოცდა და რას გულისხმობს ის. პანელს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე საუბარი არ ჰქონდა, რადგან ის, რა თქმა უნდა, არის ძველი და დათქმულ ვადებში განახლდება. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ არც ძველ ინფორმაციაში არ არის გარკვევით მითითებული შიდა გამოცდების შესახებ ინფორმაცია.
ქეთევან ნანობაშვილმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა კვლავ ექსპერტებს. მას აინტერესებდა არგუმენტირებული პასუხის შემდეგ კიდევ უნდა დარჩენილიყო თუ არა ძალაში ეს რეკომენდაცია.

ირმა მესირიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ სტანდარტში გაიცა რეკომენდაცია როგორც მოძველებული ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, ასევე მთავრობის N394 დადგენილების სასწავლო კურსებში სისტემურ ინტეგრირებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ქართული ენა 1 და ქართული ენა 2 და ასევე ქართული ენის სწავლების მეთოდიკა.

ნინო ფხაკაძემ აღნიშნა რომ ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში რეალურად შესაძლებელი არ არის ამ დადგენილების გათვალისწინება, აღნიშნულ კურსებში რეკომენდაცია გაიცა კურსის მიზნების, შედეგების და შინაარსის (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული) გადახედვასთან და მთავრობის დადგენილების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. სისტემურ ინტეგრაციაში მოვიაზრებთ სასწავლო კურსის როგორც ლექციების, ისევე პრაქტიკული ნაწილის და შეფასების სისტემაში აღნიშნული დადგენილების მეტნაკლებად გათვალისწინებას, რათა შედეგებში აქცენტი მეტად გაკეთებულიყო ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, ვიდრე პედაგოგიური უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, შედეგებში დაფიქსირებული არ იყო ქართული ენის ფლობის დონეების განსაზღვრა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაციაც.
საბჭოს წარმომადგენელმა კითხვით დაწესებულებას მიმართა. მას აინტერესებდა როგორი იყო კრედიტების მინიჭებისა და განაწილების პროცესი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს დამოკიდებულია სასწავლო კურსზე. დღეს დაწესებულებას საშუალება აქვს კრედიტების ლავირებისა კურსების მიხედვით. რა თქმა უნდა, პროგრამის მიზნები იფარება წარმოდგენილი კურსებით.
ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტთა გუნდს მიმართა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროგრამასთან დაკავშირებით. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ პროგრამაში მიღების წინაპირობები უნდა განახლდეს. მას აინტერესებდა ახალ პროგრამაში იყო დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული ხარვეზი თუ ძველში.
მაია ჩქოტუამ აღნიშნა, რომ ეს ძველი პროგრამიდან არის ჩარჩენილი, რომელიც ტექნიკურად არიის გასასწორებელი.
მას ასევე აინტერესებდა დაწესებულების პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებოდა შეფასების კრიტერიუმების დარეგულირება.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოქმედ პროგრამაში იყო ტესტირება ზოგადი უნარების, რომელიც შეიცვალა სამოტივაციო წერილით. პროგრამაში ვერ მოხვდა რუბრიკები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:21
დასრულების დრო: 17:57
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის

სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე).

5. მეხუთე საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
პროგრამის დასახელება: სტომატოლოგია
საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0911 დენტალური მედიცინა
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა ირინა ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ძირითადი მიგნებები დასკვნაში რეკომენდაციებისა და რჩევების სახით არის წარმოდგენილი. პირველი ოთხი კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან, ხოლო მეხუთე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში. ხაზი გაესვა იმასაც, რომ დაწესებულება მზად იყო თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ვლადიმერ მკერვალიშვილმა, აღნიშნა, რომ გაიცა 20 რეკომენდაცია და პირველ 7 რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს სრულად. მერვე რეკომენდაციას იზიარებენ ნაწილობრივ, რადგან ვიზიტის პროცესში უნივერსიტეტის კლინიკა ლიცენზირებისა და ნებართვის მოპოვების პროცესი იყო და ეს პროცესი უკვე დასრულების ეტაპზეა, ამიტომ ამის დასრულების შემდეგ მოხდება პაციენტების მიღებაც.
თამარ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ მე-8 რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა კლინიკურ ნაწილს, სადაც ცოტა ბუნდოვანი იყო ექსპერტთათვის თუ როგორ ჩატარდებოდა კლინიკური სამუშაო და როგორ იქნებოდა შეფასება ამ კუთხით. ხაზი გაესვა იმას, რომ პრაქტიკული ნაწილი ჩატარდება უნივერსიტეტის კლინიკაში და ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვაში უკვე გაგზავნილია ლიცენზირების მოთხოვნა. ასევე, ინსტიტუციას ხელშეკრულებები აქვს დადებული ლოკალურ სტომატოლოგიურ კლინიკებთან, სადაც გაიგზავნება სტუდენტი და ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელდება პრაქტიკები. პრაქტიკული ნაწილის შეფასების სისტემა ჩაშლილია სილაბუსში. ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, ზოგიერთ სილაბუსში მოხდა შეფასების კრიტერიუმის ჩამატება. რაც შეეხება დროს, ლექციას ეთმობა ერთი საათი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილს 3 საათი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ნაწილობრივ იზიარებს მას. ფინალურ გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდის ნაწილი გაზიარებულია უნივერსიტეტის მხრიდან, მაგრამ გაუგებარია რატომ უნდა უდრიდეს ყველა გამოცდის მინიმალური ზღვრული ქულის ჯამი 51 ქულას თითოეულ კურსში. მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მსჯელობის შედეგად ნაწილობრივ იზიარებენ ამ რეკომენდაციასაც. აღინიშნა, რომ კვლევითი კომპონენტისათვის დაწესებულება იყენებს მაგისტრატურის დებულებას, სადაც მოცემულია ნაშრომის 100 ქულიანი ერთჯერადი შეფასება, რომელშიც მოცემულია ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა პოზიციის დაცვა, დროის მართვა, პრობლემის მართვა და ა.შ. თუმცა ამავე შდა რეგულაციით სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და მათი წონა შეიძლება იყოს განსხვავებული, ანუ პროგრამის განვითარების კომიტეტს და პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა უფლება, რომ კომპონენტები ან მათში მისანიჭებელი ქულები სხვანაირად ჩამოეყალიბებინა.
ნინო სეფაშვილმა მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას დაწესებულება არ იზიარებს, რადგან პროგრამა აღიარებს თანამედროვე სწავლების კრიტიკულ როლს მაღალი ხარისხის სტრატეგიულ სტომატოლოგიური განათლების მიღებაში. შესაბამისად, მასში არის ინტეგრირებული სტრუქტურირებულია თანმიმდევრული სასწავლო გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია ზუსტად ამგვარი მეთოდების გამოყენებისთვის.
ვლადიმერ მკერვალიშვილმა მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ რენტაბელობის ზღვარი ძალიან კარგად არის შემუშავებული სხვადასხვა სახის დოკუმენტებში.

დაწესებულებას აქვს დასაქმების ბაზრის კვლევა, შრომის ბაზრის კვლევა დაგეგმილია ბიუჯეტიც, განსაზღვრულია სწავლების საფასური, სახელფასო ფონდი. ეს ყველაფერი კი ერთობლივად უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების მდგრადობასა და მომგებიანობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ გარე ხარისხის შეფასების პროგრამას ამ ეტაპზე გადიოდა. ხაზი გაესვა იმას, რომ 2-ჯერ მომზადდა შეფასების შედეგების გამოყენების ანგარიში, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად მოიცავდა გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესრულების გაზიარების ან განხორციელებული ქმედებების თაობაზე ინფორმაციასაც.
ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ 4 კრედიტის ფარგლებში შეუძლებელია მსგავსი ტიპის კვლევითი პროექტი ჩატაროს სტუდენტმა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია ეხებოდა როგორც შეფასებას, ისე პროგრამის სტრუქტურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა რა პერიოდი დასჭირდებოდა რეკომენდაციების შესრულებას.
ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ერთი წელი უნდა იყოს საკმარისი.
მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთან მოსული პაციენტი არ გადაიხდის იმ საფასურს, რასაც იხდის ლიცენზირებულ სტომატოლოგთან. რადგან თავად სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის შესაძლოა, მინიმალური თანხა დაწესდეს პროცედურაზე, თუმცა ეს იქნება ძალიან მიზერული თანხა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:41
დასრულების დრო: 18:59
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2027 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: - პროგრამის მოდულები:
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩიარა ძალიან პროდუქტიულად. პირველი რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები დაფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახავდეს პროგრამის სპეციფიკასა და თავისებურებებს, იყოს გაზომვადი და შეფასებადი. გარდა ამისა, აუცილებელია ყველა დაინტერესებული პირი იყოს ჩართული სწავლის შემუშავებაში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი. 1.3 ქვესტანდარტში გაიცა 2 რეკომენდაცია. პირველი ეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ იყოს ასახული სამიზნე ნიშნულები და აღნიშნულნი ცალკე დოკუმენტად იყოს წარმოდგენილი. 1.4 სტანდარტის მიხედვით რეკომენდებულია გადაიხედოს არჩევითი საგნების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების რაოდენობა და განხორციელდეს მათი მოდიფიცირება; 1.5 რეკომენდაციაში რეკომენდებულია გადაიხედოს ფსიქოლოგიური-პედაგოგიური მოდულის საგნების სპეციფიკა, შეიცვალოს მათთვის მინიჭებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომ უფრო რელევანტურად ასახავდეს, ერთი მხრივ, საგანთა შინაარს, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს მათში ინტეგრირებულ შეფასების მეთოდებს.
მეორე სტანდარტში გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის საკითხით, რათა გარანტირებული იყოს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება. მესამე სტანდარტშიც გაიცა 1 რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ლექტორებისა და საგნების შეფასების პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის, ფორმატისა და შედეგების გამოყენების შესახებ. 4.3 სტანდარტის მიხედვით რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას, მათ შორის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების შექმნის ხელშეწყობას. ხოლო მეხუთე სტანდარტში გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად კარგად იცნობდეს თვითშეფასების ანგარიშში დასახელებულ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მათი გამოსწორების გეგმას. გარდა ამისა რეკომენდებულია უსდ-მ რეგულარულად და მტკიცებულებებზე დამყარებული გზით, აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ანალოგიურ პროგრამებთან. ასევე, რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ფორმალურად აფასებენ მას და რელევანტური ინფორმაცია საბოლოოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებისთვის ხდება ცნობილი და ბოლოს რეკომენდებულია უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების გზით, შეიმუშავოს მისი მონიტორინგის ნათელი მკაფიო და კომპლექსური მაჩვენებლები. ექსპერტმა აღნიშნა ისიც, რომ დაწესებულება თითქმის ყველა რეკომენდაციას იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მაია ჭიჭინაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა გუნდს გაწეული შრომისთვის. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ეყრდნობოდა ძირითადად დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც ძალიან განსხვავებული იყო სხვა დარგობრივი მახასიათებლებისგან. თვითონ ამ მახასიათებელში 42 კომპონენტია წარმოდგენილი და უნივერსიტეტმა საკმაოდ დეტალურად იმუშავა ამ საკითხზე. მაგრამ სწავლის შედეგების ნაწილში დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია. სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა იმას, რომ პროგრამას ერთვის დოკუმენტის სახით ბოლო წლის პროგრამის სწავლის შედეგების შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგია წარმოდგენილი. რაც შეეხება ცალკე მექანიზმად ჩამოყალიბებას, აღინიშნა, რომ ჩამოყალიბებულია პროგრამის სწავლის შეფასებისა და და ჩამოყალიბების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულები. ამასთან, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები არის პედაგოგიური ეთიკის ნაწილში განხილული. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კურსებში არის შეტანილი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. რაც შეეხება გაკვეთილის მართვის სტრატეგიებს, ეს ძირითადად შეისწავლება აქტიური სწავლების საფუძვლებში მთლიანად. საათების განაწილებასთან მიმართებით ხაზი გაესვა, რომ ნამდვილად შესაძლოა საათების გაზრდა, თუმცა პროგრამა ამგვარად ფუნქციონირებს უკვე 2018 წლიდან და კურსდამთავრებულებზე დაყრდნობით არანაირი პრობლემა არ შექმნილა. მაგრამ მაინც ითვალისწინებს დაწესებულება ამ რეკომენდაციას. მეოთხე სტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ პროგრამაზე არიან 2 მიმართულების პედაგოგები, რომელთა ერთი ნაწილი ასწავლის თეორიას, ხოლო მეორე ნაწილი - შემოქმედებით ნაწილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მუსიკისა და ხელოვნების სილაბუსებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი შეფასების სისტემა და მას აინტერესებდა რაზე იყო ეს დამოკიდებული.

თამარ ძველაიამ განმარტა, რომ ყველა პროგრამას ახლავს თავისი შეფასების რუბრიკა და ტუტორის შეფასება. შესაბამისად ყველაფერი გაწერილია დეტალურად, თუმცა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიდევ გადაიხედება სილაბუსი ამ კუთხის გასაუმჯობესებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:28
დასრულების დრო: 19:56

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული - № 769221, 06.07.2022

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ზურაბ აზნაურაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 მაისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება ყველა დაინტერესებულ და პროგრამაში ჩართულ პირთან. ამის საფუძველზე გაიცა 4 რეკომენდაცია და 3 რჩევა. 1.3 კომპონენტის ფარგლებში რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების დეტალური გეგმა. ასევე, გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით და გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. ბოლოს, რეკომენდებულია სრულად ამოქმედდეს დოკუმენტურად გაწერილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღინიშნა, რომ აღნიშნული საკითხები ინსტიტუციის მხრიდან იქნა სრულად გაზიარებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია. 1.4 და 1.5 რეკომენდაციებთან მიმართებით შეინიშნა, რომ ეს ცვლადი და ბუნებრივი მომენტია. ყოველი სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების შემდეგ ხდება სასწავლო კურსების გადახედვა, ლიტერატურის დადარება და საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლება. საბოლოო ჯამში, ინსტიტუცია ითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა მიმართა ექსპერტებს კითხვით. მას აინტერესებდა წინა დოკუმენტაციაში გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც საკმაოდ ბევრი იყო, გათვალისწინებული იქნა თუ არა დაწესებულების მხრიდან.
ექსპერტმა, ზურაბ აზნაურაშვილმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაიზიარა დაწესებულებამ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:09
დასრულების დრო: 21:02

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:07 სთ-ზე .

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე